შ.პ.ს. "კოლხა - 07"

ქალაქ თბილისში,
დაბა კოჯორი, სოფელი კიკეთი,
არსებული ერთსართულიანი შენობის

სადემონტაჟო სამუშაოთა პროექტი

შ.პ.ს. "კოლხა-07"-ის
დირექტორი თ. ბაღათურია

შესრულა ა. მაისაშვილი

ქ. თბილისი – 2011 წ

სამშენებლო ორგანიზაციის პროექტი

ქ. თბილისში, დაბა კოჯორი, სოფელი კიკეთი, არსებული 1-სართულიანი შენობის დაშლაზე

სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტის შედგენას საფუძვლად დაედო საინვენტარიზაციო გეგმა, საკადასტრო რუქა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. აგრეთვე ტერიტორიის დათვალიერება და შესწავლა.

დასაშლელია 1–სართულიანი შენობა, ზომებით გეგმაში 14.5X6.5 მ. საერთო ფართით 94.2 მ^2, მოცულობა 376.8 მ^3. შენობა ქალაქის საგარეუბნო ზონაში მდებარეობს. მასთან მისვლა ხდება ქუჩის მხრიდან, რაც წარმოდგენილია სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გეგმაზე.

დასაშლელი სამუშაოები წარიმართება სამშენებლო საწევლათი.

დაშლილი სამშენებლო მასალებისა და ნაგვის დასატვირთად გამოყენებული იქნას თვითმცლელი ავტოტრანსპორტი.

უბანი ხასიათდება შემდეგი კლიმატური და სეისმური ფაქტორებით: ქარის დაწოლა – 45კგ/მ^2; თოვლის საფარის წონა 50კგ/მ^2; სეისმურობა – 8 ბალი.

როგორც ავღნიშნეთ, დასაშლელი შენობების საერთო ფართია 94.2 მ^2. მისი დაშლის საორიენტაციო ღირებულება დადგინდება ურთიერთშეთანხმებით. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში იძლევა სამუშაოთა საორიენტაციო ღირებულებას. სამუშაოთა წარმოების პროცესში მოსალოდნელია სამუშაოთა რაოდენობისა და ღირებულების კორექტირება. აღნიშნულის გამო, ანგარიშსწორება, დამკვეთსა და მეიჯარეს შორის რეკომენდირებულია წარმოებდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით, დადგენილი წესით. დასაშლელი სამუშაოების წარმოების პერიოდში დროებითი ღობის ფარგლებში უნდა მოხდეს გადარჩენული მასალა-ნაკეთობების (აგურის, ხის მასალის და სხვა) დაშტაბელება ახალ მშენებლობაში გამოყენების თვალსაზრისით. დაშლილი სამშენებლო მასალებისა და ნაგვის გატანა გათვალისწინებულია "ბელორუსი"-ს ტიპის ექსკავატორით და თვითმცლელი ავტოტრანსპორტით. მათი ნუსხა მოყვანილია ცხრილში მომდევნო ნახაზებზე. სამუშაოთა წარმოების დროს აუცილებელია შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა, აგრეთვე შენობის დაშლის დროს სელიტებურ ზონაში მტვრის გაფანტვისაგან დამცავი ღონისძიებების უზრუნველყოფა. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს საავტორო ზედამხედველობის ქვეშ. დაშლის სამუშაოებზე დამკვეთის მიერ დადგენილია გეგმიური ხანგრძლივობა 1 (ერთი) თვის პერიოდი.

შენობის დასაშლელ სამუშაოთა წარმოების პროექტის შესადგენი ნორმატივები

2.1. СНиП 3.01.01-85 "Организация строительного производства" М. 1989

2.2 СНиП III-4-80 "Техника безопасности на строительстве" М. 1981

2.3. Справочнник инжинера сроителя М.1989

2.4. Строителъные стреловые самоходные краны М.1984

2.5. კრებული სამახსოვრო "სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები" - ამონაწერი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან. თბ. 1987



სართულის გეგმა



ფორმატი	თბილისი 2011 წ	ფაილის სახელი	დამკვეთი: მოქ: ნინო ღურგლიშვილი	შ.პ.ს "კარკასი"			არქიტექტურული ნაწილი	შ.პ.ს "კარკასი"
A-3	დაკვეთა N	PLN	ობიექტის მისამართი: დაბა კიკეთი	თანამდებობა:	გვარი	ხელმოწერა	მუშა პროექტი	
პირობითი აღნიშვნები			პროექტის სახელწოდება:	დირექტორი	გ.მაჭარაშვილი		გეგმა (აზომვითი)	ფურცელი
			მაღაზიის აზომვითი ნახაზი	პრ.მთ.არქიტ	რ.ღურგლიშვილი			თარიღი
				დაამუშავა	გ.გიორგაძე			მასშტაბი 1:100

დასაშლელი ობიექტის დახასიათება

შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, სხვადასხვა ზომებით.

საძირკველი ლენტური ტიპისაა და მოწყობილია მონოლითური ბეტონისაგან.

კედლების შევსება ხდება აგურით.

სახურავი შეადგენს ხის სანივნივე სისტემას და დახურულია თუნუქით.

დაშლის დაწყებისას აუცილებელია მოეწყოს ხის ან მავთულბადოვანი ღობე სამუშაოთა წარმართვისა და ორგანიზაციის გენგეგმის მიხედვით.

მითითებები სამუშაოთა წარმოების თაობაზე

როგორც აღინიშნა, დასაშლელი სამუშაოების წარმართვა უნდა მოხდეს ხელით.

სამუშაოები იწყება სახურავის მოხსნით, შემდეგ კედლებისა და ტიხრების დაშლით.

საძირკვლები ლენტური ტიპისაა და მოწყობილია ბეტონისაგან. მის დასაშლელად საჭიროა სანგრევი ჩაქუჩების გამოყენება.

მონგრეული ბეტონის კოშტებს თუ მიწა არ მიეყრება, შესაძლებელი გახდება მათი ხელმეორედ გამოყენება მონოლითურ ბეტონში.

მოხსნილი მასალები გასუფთავდეს, გაიწმინდოს, დახარისხდეს და შტაბელებად დაეწყოს დროებითი ღობის ფარგლებში. მათი ხელმეორედ გამოყენება განისაზღვროს ახალი მშენებლობების არქიტექტურულ-კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებში: კედლებში, ტიხრებში, და ა.შ...

დაშლის ხანგრძლივობის შესახებ

შენობის დაშლა დამკვეთის მიერ განსაზღვრულია 1 თვის ვადაში. გეგმიურად დადგენილი ხანგრძლივობის დაცვა შენობის დაშლაზე 1 თვის პერიოდში შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პერიოდში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ქალაქ თბილისის რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.

დაშლის ღირებულება დადგინდეს ურთიერთშეთანხმებით.

სამუშაოთა შესრულების ვადების დაცვა უწყვეტ ფინანსირებაზეცაა დამოკიდებული, რაც უნდა გაითვალისწინოს დამკვეთმა.

მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა–ნაგებობებზე

მუშა-ხელის ანგარიში წარმოებს მუშათა წლიური გამომუშავების მიხედვით. ცხადია, შენობის დაშლის პერიოდში მუშათა რაოდენობა სხვადასხვა იქნება. დაშლით სამუშაოებზე მოწვეული სამშენებლი ფირმის საგეგმო–საწარმოო მონაცემებით მუშის საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 5.7 ათას ლარს, თვიური 480 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი თვის პერიოდში საშუალოდ დღიურად დაგვჭირდება 3980 : 480 = 8 მუშა. მას დაემატება 10% ინჟინერ-ტექნიკური და 3% საშუალო ტექნიკური პერსონალი. სულ 2 ადამიანი. მთლიანად 10 მომუშავე. მათზე ვანგარიშობთ:

საყოფაცხოვრებო სათავსოებს

გასახდელებს 10X0.7=7 მ^2

საშხაპეს 10X0.082=0.82 მ^2

ტუალეტი 10X0.75

სულ გვჭირდება 8,57 მ^2 ანუ ერთი ინვენტარული ტიპის ვაგონი ზომით 4X3X3 მ, ფართობით 12 მ^2.

კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 1 კაცზე საჭიროა სულ 10+1X4=15 მ^2

შენობის დაშლის პროცესში საყოფაცხოვრებო სათავსოების და კანტორის მოწყობის მიზანშეწონილობის დადგენა, სამუშაოთა მცირე მოცულობის გამო, დამოკიდებულია თავად სამუშაოთა მწარმოებელზე.

მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტი ანგარიშდება 1 მლნ/ლარ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

თვითმცლელი მანქანები 0.048X11.62X0.45= 1 ცალი დღეში

ძარიანი მანქანები 0.048X8,57X0.45=0.18=1 ცალი დღეში

სპეცავტოტრანსპორტი 0.048X10.92X0.45=0.24=1 ცალი ღღეში

თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილებების მომენტისათვის.

სამშენებლო მანქანა-მექანიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტების ჩამონათვალი

№	დასახელება	მარკა	რაოდ-ბა
1	2	3	4
1	თვითმცლელი ძარიანი და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის გადასატანად	სხვადა სხვა	1
2	გადასატანი კომპრესორი	სო-48	1
3	ელ.შესადურებელი საჭრელი აგრეგატი	კომპ	1
4	ავტოგენური შედუღების და ჭრის აპარატი	კომპ	1
5	სახურავის ფურცლის გასაწმენდი დანადგარი	პკუ-35	1
6	მობილური ამწეები ავტოსველაზე "ივანოვეცის" ტიპის	–	1
7	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპ	1
8	ლითონის სახარაჩო სექციები 100 მ^2 ფართობისათვის	კომპ	1
9	"ბელარუსი"-ს ტიპის ექსკავატორი		1

მითითება:

- აღნიშნულ ნუსხას შეიძლება დაემატოს უფრო თანამედროვე ან სხვა მანქანა–მექანიზმები და ინვენტარი

მომუშავეთა შორის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობათა დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნწ III-4-80* "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე" და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

13.1 სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

13.2. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახ. სტ. 12.013-88; ელექტროკარადა უნდა იყოს ყოველთვის ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული.

13.3. ამწეების მუშაობის პირობებში დაუშვებელია უცხო პირთა, ასევე დაშლის ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო გენგეგმაზე შემოფარგლულ ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონის ფარგლებში. ასეთი ზონები სცილდება შემოღობილი ტერიტორიის ფარგლებსაც, რის გამოც აუცილებელია შემზღუდავი ღონისძიებების განხორციელება:

- იკრძალება ისრის ტრიალი დასაშლელი შენობის გარეთ; დაშლილი კონსტრუქციის ჩამოშვება უნდა განხორციელდეს შენობის ვერტიკალის გასწვრივ მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებებში პირდაპირი ჩატვირთვით.
- კონსტრუქციიდან მარყუჟების ჩახსნაზე გამოყოფილი მუშები შორიდან ხელმძღვანელობენ ჩამოშვების პროცესს. შემდეგ უახლოვდებიან მანქანებს და ასრულებენ მათ მანქანებში ჩატვირთვას უსაფრთხოების წესების დაცვითა და მარყუჟების შეხსნით.
- იკრძალება ამწის ისარზე ჩამოკიდებული ტვირთით ისრის შემობრუნება მოედნისა და ქუჩის მხარეს, ცხადია ისრის ტრიალიც ღერძის გარშემო.
- აუცილებელია დროებით ღობეებზე გაიკრას ამწის მოქმედების სახიფათო ზონების აღმნიშვნელი ფირნიშები ღობის გარეთა რადიუსების მითითებებით მეტრებში. ღამის პერიოდში უსაფრთხოების ზონის აღმნიშვნელი ფირნიშები აუცილებელია განათდეს.

- სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდირებული მანქანა–მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია, შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი.
- დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დაცავი ჩაფხუტებით (კასკებით).
- დაუშვებელია მანქანების, ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში, ზედამხედველობის გარეშე. ცხადია, მათი მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.
- ლითონის ელემენტების ჩაჭრას ელექტრო ან აიროვანი აპარატებით ქვედა იარუსებზე 5 მეტრის რადიუსში ფართობები უნდა გავანთავისუფლოთ წვადი მასალებისაგან, ხოლო 10 მეტრის რადიუსში ასაფეთქებელი (მაგ. ჟანგბადის ბალონები) მასალებისაგან.
- დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები. გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირებით.

ბუნების დაცვითი და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

შენობა მდებარეობს ქ. თბილისის ცენტრში, სელიტებურ განაშენიანებაში. აღნიშნულის გამო აუცილებელია შენობათა დაშლის პერიოდში შემდეგი ღონისძიებების დაცვა:

- გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება;
- კედლების, ტიხრების, იატაკის დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ან სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.
- იკრძალება სამშენებლო ნაგვისა და ნარჩენების ღია წესით ჩამოყრა. სასურველია სამშენებლო ნაგვის პირდაპირ თვითმცლელი მანქანების ძარებში ჩაყრა. დიდი ზომის სამშენებლო ნარჩენები ან მოხსნილი ნაკეთობები უნდა ჩამოეშვათ ამწის საშუალებით. აქაც სასურველია მაშინვე მოხდეს მათი ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვა და ნაგავსაყრელზე ან დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირება.
- დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.
- ასევე დაუშვებელია ამოსახაპი ორმოების მოწყობა. ინვენტარული საყოფაცხოვრებო ვაგონეტიდან საკანალიზაციო ჩადინება უნდა მოეწყოს უშუალოდ საქალაქო საკანალიზაციო ჭებში. გენგეგმაზე მათ მოსაწყობად მითითებული ადგილები შესაძლებელია შეიცვალოს საკანალიზაციო ჭების სიახლოვეს მათი განთავსებით ამწეთა მოქმედების სახიფათო ზონების საზღვრების გათვალისწინებით. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდირებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირები დაინამოს.

სადემონტაჟო გეგმა მ 1:500.



პირობითი აღნიშვნები

- სადემონტაჟო შენობა
- არსებული შენობა
- დროებითი ხის ღობე

ექსპლიკაცია

1 სადემონტაჟო შენობა
2 არსებული შენობა
3 საწყველა
4 დროებით ხის ღობე
5 დროებითი ხის ჭიშკარი

ტექნიკური მონაცემები

1. ტერიტორიის ფართი - 600.0 მ²
2. მოშენების ფართი - 94.2 მ²
3. დემონტაჟის ფართი - 94.2 მ²
4. დემონტაჟის მოცულობა - 376.8 მ²
5. შენობის კონსტრ. სიმაღლე - 4.6. მ

შ.პ.ს. "აორტა-07"			ქ.თბილისი, [illegible] არსებული შენობის დემონტაჟი				
შემსრულებელი		თავმჯდომარე	[illegible]	2008 წ			
შეამოწმა		[illegible]	სადემონტაჟო გეგმა	სტადია	ფურცელი	ფურცლები	
					მუ-1	ა	

სადემონტაჟო სქემა



შპს „კოლხა-07"			დაბა ჯოხოლი. სოფ. [illegible] არსებული შენობის დემონტაჟი	
დირექტ.		თ.გაბლაშვილი	მშენებლობის ობიექტი	2009 წელი
მთ.კონსტრ.			სადემონტაჟო სქემა	
შეასრ.		ა.მარსაგ[illegible]		
შეამოწ.				ფ. 2

რემონტის დღიური გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე 1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
ღობის მოწყობა			5																											
სახურავის რემონტი								11																						
კარ-ფანჯრების რემონტი												12																		
გლუვი კედლების რემონტი																	12													
იატაკისა და საძირკვლის რემონტ.																					15									
ტერიტორიის დასუფთავება																									12					



შპს „კოლხა-07"	დაბა [illegible], [illegible] არსებული [illegible] რემონტი
დირექტ. [illegible]	მშენებლობის ორგანიზ. 2009 წელი
მთ.კონსტრ.	რემონტის დღიური გრაფიკი
შეასრ. [illegible]	
შეამოწ.	

სამშენებლო ნაკეთობებისა და მასალების უწყისი

ცხრილში მოყვანილია სამუშაოთა მოცულობები და რაოდენობები უწყისის სახით, რომელიც გამოთვლილია ადგილზე აზომვების მიხედვით.

№	დასახელება	განზომ. ერთეული	რაოდ-ბა
1	2	3	4
1	ხის ალათებიანი ფანჯრების ამოღება ჩარჩოებთან და გისოსებთან ერთად	მ^2	12.96
2	ხის კარების ამოღება ჩარჩოებთან ერთად	მ^2	7.92
3	ხის იატაკის აყრა ოთახებში	მ^2	27.6
4	სახურავებიდან თუნუქის ფურცლების მოხსნა	მ^2	113.04
5	ხის სანივნივე სისტემის დაშლა	მ^2	113.04
6	ბლოკის კედლების დაშლა გაჯისა და ცემენტის ხსნარით ნალესისაგან ერთად	მ^2	102.6
7	საძირკვლის დაშლა მიწის ამოღებასთან ერთად	მ^3	21.7

მითითება:

- სადემონტაჟო სამუშაოები დაზუსტდეს დემონტაჟის პროცესში.